

CURRICULUM VITAE (CV)

თინათინ ერქვანია



გვარი: ერქვანია
სახელი: თინათინ
მისამართი: [Redacted]
ტელ.: [Redacted]
ელ.ფოსტა: [Redacted]

დაბადების თარიღი: [Redacted] წლის [Redacted]
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე

უმაღლესი განათლება

2002-2007 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრის ხარისხი;
2007-2009 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხი
2007 ჰამბურგის უნივერსიტეტი (Universität zu Hamburg) იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი 2007 წლის გაზაფხულის სემესტრის მანძილზე (თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის ფარგლებში);

- 2008-2009 ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის (Humboldt Universität zu Berlin) იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხი გერმანულ სამართალში.
- 2011-2016 ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის (Humboldt Universität zu Berlin) იურიდიული ფაკულტეტი, დოქტორანტურა, დოქტორის ხარისხი სამართალში (Dr. Iur.) სადოქტორო ნაშრომი თემაზე (გერმანულ ენაზე): “ადამიანის უფლებების განხორციელების უზრუნველყოფი სამართლებრივი ინსტრუმენტები საქართველოში – სამართლებრივი წარსული, ინსტიტუციონალური პროგრამატიკა (კომპეტენციათა სპექტრი) და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).
- 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 ნოემბრამდე – პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სამართლის სკოლის (cole de Droit de Sciences Po, ვიზიტორი მკვლევარი (postdoctoral Research Fellowship, Non-Visiting Fellow).
- 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე - ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ვიზიტორი მკვლევარი (Postdoctoral Researcher, Visiting Fellow).
- 2019 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე ჰაიდელბერგის საერთაშორისო სამართლისა და შედარებითი საჯარო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის ვიზიტორი მკვლევარი (Postdoctoral Researcher, Visiting Fellow პროფ. არმინ ფონ ბოგდანდისთან).
- 2021 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 30 სექტემბრამდე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვიზიტორი მკვლევარი (Postdoctoral Researcher, Visiting Fellow პროფ. მარკუს ჰაინტცენტან).
- 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 ივლისამდე ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვიზიტორი მკვლევარი (Postdoctoral Researcher, Visiting Fellow პროფ. მარტინ აიფერტთან).
- 2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვიზიტორი მკვლევარი (Postdoctoral Researcher, Visiting Fellow პროფ. მარკუს ჰაინტცენტან).

პროფესიული გამოცდილება:

- 06.03.2008 - 03.11.2010 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის იურისტი
- 13.10.2010 – 31.12.2012 სსიპ – კონსტიტუციონალიზმის განვითარების რეგიონალური ცენტრი (ბათუმი), მკვლევარი (სფერო: ადამიანის უფლებები, შედარებითი კონსტიტუციონალიზმი).
- 01.07.2011-01.04.2012 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის ქვედა პალატა - ბუნდესთაგი (ბერლინი), ერთ-ერთი დეპუტატის თანაშემწე (მეცნიერ-თანამშრომელი) ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქციიდან (სფერო: ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკა, პოსტსაბჭოთა სამართლებრივი სივრცე, ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობები).
- 05.11.2012-30.11.2012 ევროსაბჭო, „დემორატია სამართლის მეშვეობით (ე.წ. ვენეციის კომისია)“, სამეცნიერო-კვლევითი მივლინება (სტრასბურგი).

- 01.06.2015-01.01.2017 გერმანული სამართლებრივი კომპანია - Hengeler Mueller (ბერლინის ბიურო), იურისტი (მეცნიერ-თანამშრომელი – Research Assistant). სფერო: საკონსტიტუციო სამართალი, საჯარო ეკონომიკური სამართალი.
- 20.02.2017-28.05.2018 - საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
- 2017 წლის სექტემბრიდან – მოწვეული ლექტორი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლაში (საგნები: საკონსტიტუციო სამართალი, სამართლის ფილოსოფია, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, რეპეტიტორიუმი საჯარო სამართალში).
- 2017 წლის სექტემბრიდან – მოწვეული ლექტორი საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (საგანი: შესავალი სამართალმცოდნეობაში).
- 2017 წლის მაისიდან დღემდე – ასოცირებული პროფესორი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლაში.
- 2018 წლის ოქტომბრიდან – მოწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საგანი: შესავალი სამართალმცოდნეობაში).
- 2020 წლის სექტემბრიდან - თბილისის ღია უნივერსიტეტის (უკვე უნივერსიტეტი „ალტე“) ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით.
- 2020 წლის თებერვლიდან დღემდე - GIPA-ის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ბზაზე არსებული კვლევითი ცენტრის - „სამართლისა და საზოგადოების კვლევითი ცენტრი გლობალურ კონტექსტში“, ხელმძღვანელი.
- 2021 წლის 15 აპრილიდან დღემდე - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი: შპს, „თინათინ ერქვანია და პარტნიორები“.
- 2021 წლის 18 აპრილიდან დღემდე - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი: ა(ა)იპ „კონსტიტუციური მმართველობის ცენტრი - საქართველო“.
- 2022 წლის 1-ლი აგვისტოდან დღემდე - გერმანული სამართლებრივი კომპანია - Hengeler Mueller (ბერლინის ბიურო), იურისტი (მეცნიერ-თანამშრომელი – Research Assistant). სფერო: საკონსტიტუციო სამართალი, საჯარო ეკონომიკური სამართალი.

სტიპენდიები და სხვა აქტივობები

- 01.04.2007-30.09.2007 გერმანული Zeit-ის ფონდის (Zeit Stiftung) სტიპენდიატი კოპერნიკუსის პროგრამის (Copernicus e. V., Stipendienprogramm) ფარგლებში, ჰამბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე სასწავლებლად (2007 წლის ზაფხულის სემესტრი);
- 01.10.2008-30.09.2010 გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდიატი, ბერლინის ჰუმბოლდტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა.

- 01.04.2011-31.05.2015 კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდიანტი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის ფარგლებში;
- 01.07.2018-31.08.2018 - გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდიანტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვიზიტორი მკვლევარი.
- 01.06.2019-30.09.2019 - რუსთაველის ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდიანტი (Joint Rustaveli/DAAD Fellowship) ჰაიდელბერგის მაქს-პლანკის ინსტიტუტში სამეცნიერო მივლინების ფარგლებში.
- 01.06.2021-30.09.2021 - რუსთაველის ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდიანტი (Joint Rustaveli/DAAD Fellowship) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინების ფარგლებში.
- 01.10.2021 – 31.07.2022 - ბერლინის პარლამენტის სამეცნიერო ფონდის სტიპენდიანტი (Studienstiftung des Abgeordnetenhauses Berlin) ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინების ფარგლებში.
- 01.11.2022 – 31.01.2023 - გერმანიის კათოლიკური აკადემიური სამსახურის (KAAD) სტიპენდიანტი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინების ფარგლებში.

კონფერენციები:

22.05.2014-25.04.2014 – “ევროპა საზღვრების გარეშე – ევროპული საზღვრები: ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკა უკრაინის მაგალითზე”, კონრად ადენაუერის ფონდის აცადემია, ბერლინი.

[თანაორგანიზატორი, მოდერატორი და მომხსენებელი].

03.11.2017 – 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი.

[მომხსენებელი].

ევროპული კავშირის, ევროსაბჭოს, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული რამდენიმე კონფერენციისა და სემინარის მონაწილე (გერმანიის სხვადასხვა ქალაქში. ასევე, ბრიუსელში, სტრასბურგში, ლონდონში და ა.შ.).

პუბლიკაციები

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და შესაბამისი ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი, რ. 3, 2011 წ.
- ადამიანის უფლებები ჰორიზონტალურ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მართლმსაჯულება და კანონი, რ. 4, 2011 წ.
- სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი

კონტექსტი - ქართული მოდელი: მოკლე შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VI, 2013. პუბლიკაცია გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

- „სახელისუფლებო შტოების ურთიერთობის სპეციფიკა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე: არსებითი პრობლემები“, სტატიათა კრებულში - სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, 2013; პუბლიკაცია გამოიცა კონრად ადენაუერის ფონდის რეგიონული პროგრამის - "სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგი", მხარდაჭერით.
- საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის (საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსი) კომენტარის ავტორი პუბლიკაციაში: „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2013; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროექტი.
- თანაავტორი სახელმძღვანელოსი: „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის პუბლიკაცია. პირველი გამოცემა გამოიცა 2013 წელს (აქტუალური მე-4 გამოცემა გამოიცა 2016 წელს).
- მონოგრაფია (დისერტაცია) გერმ. ენაზე: “Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit in Georgien”, გამომცემლობა Nomos, ბადენ-ბადენი, 2017 (550 გვ.); პუბლიკაცია წარმოადგენს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში 2016 წელს დაცულ დისერტაციას.
- “კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ“, სტატიათა კრებულში, თსუ, რედ. კ. კორკელია, 2018 წ.; სტატიათა კრებული ემდგნება 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმას.
- რელიგიური გაერთიანებების თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფა სეკულარიზმის პრინციპის იდენტიფიცირების გარეშე? საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტუალური მართლმსაჯულება, სტატიათა კრებულში, თსუ, კ. კორკელია (რედ.), 2019 წ.
- საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების კონსტიტუციური სტატუსი და მათი რეგულირების უკანასკნელი მცდელობები, პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალი (GIPA), ინგლ. ენაზე, 2021 წ.

უცხო ენები

გერმანული
ინგლისური
რუსული

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

MS Office, MS Works, Mac Os, Beck-Online, Hein-Online, West Law, Codex, GSS etc.

ჰობი

ქართული ნაციონალური ცეკვები, კლასიკური მუსიკა, პოეზია და მხატვრული ლიტერატურა.